შპს საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია
GEORGIAN INTERNATIONAL ENERGY CORPORATION LLC

№ 439/1 11 10 2022

სსიპ ველური ბუნების ეროვნული სააგენტოს უფროსს,
ბატონ რევაზ ბეჟაშვილს

ბატონო რევაზ,

როგორც თქვენთვის ცნობილია, შპს ,,საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკულმა კორპორაციამ" (შემდგომში მოხსენიებული, როგორც „**კორპორაცია**") წერილობით მიმართა სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს (შემდგომში მოხსენიებული, როგორც „**სააგენტო**") და სსიპ ველური ბუნების ეროვნულ სააგენტოს 2022 წლის 17 ივნისის N1/144 და 2022 წლის 25 მაისის N1/115 წერილების საფუძველზე, მოითხოვა:

1. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 13 იანვრის N2-26 ბრძანების მე-2 პუნქტითა და 2015 წლის 18 ივნისის N31 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირველი პირობით დადგენილი დათევზიანების 2022 წლის ვალდებულების 2023 წლისთვის გადადება.

2. იქთიოფაუნაზე ნეგატიური ზემოქმედების მინიმიზაციის მიზნით, დათევზიანების საუკეთესო მეთოდების დანერგვა, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 19 მარტის N2-312 ბრძანებით დამტკიცებული აკვაკულტურის მრჩეველთა საბჭოს მიერ შემოთავაზებული პრიორიტეტების შესაბამისად.

სააგენტომ, კორპორაციის მოთხოვნა განიხილა, როგორც გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობის ცვლილება და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-5 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, აღნიშნულის უზრუნველსაყოფად მოითხოვა შესაბამისი დასაბუთების (მაგ. სამეცნიერო ნაშრომები/დასკვნები/კვლევები) წარდგენა.

როგორც მოგეხსენებათ, მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, გარდა სსიპ ველური ბუნების ეროვნულ სააგენტოს 2022 წლის 25 მაისის N1/115 წერილისა და მასზე თანდართული საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 19 მარტის N2-312 ბრძანებით დამტკიცებული აკვაკულტურის მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილებისა, კორპორაცია სხვა დამატებით დოკუმენტაციას არ ფლობს. შესაბამისად, მისთვის ასევე არ არის ცნობილი თუ რომელ სამეცნიერო ნაშრომებს, დასკვნებს თუ კვლევებს ეფუძნება ზემოთ ხსენებული საბჭოს გადაწყვეტილება.

ISO 9001 CERTIFICATION TM
Intertek

ქ. თბილისი, 0177 გაზაფხულის ქ. №18
18, GAZAPKHULI STR, 0177 TBILISI, GEORGIA
საიდენტიფიკაციო კოდი / ID: 230866783
Tel.: +(995 32) 2 21 01 87
E-mail: giec@giec.ge

ამდენად, საკითხის დროულად და ეფექტურად მოგვარების მიზნით, მოგმართავთ თხოვნით, მოგვაწოდოთ თქვენ ხელთ არსებული ყველა საჭირო დოკუმენტაცია ან/და გაგვიზიაროთ თქვენი პოზიცია მოცემულ საკითხთან დაკავშირებით.

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისთვის.

დანართი: სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2022 წლის N 21/5576 წერილი - 2 ფურცლად.

პატივისცემით,

დავით ტყემალაძეული
საოპერაციო დირექტორის მინდობილი პირი

*(*მოქმედი 10.03.2022 წლის მინდობილობის საფუძველზე; სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი N 220246852; სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი: 25638731144622; ნოტარიუსი: ზაალ ზაქარაშვილი)*

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/5576
23/09/2022

5576-21-2-202209231611

შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკულ კორპორაციას“

მისამართი: ქ. თბილისი 0177, გაზაფხულის ქ. N18

ასლი: სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს

სააგენტომ განიხილა თქვენი 2022 წლის N373/1 (სააგენტოს რეგისტრაციით 4033) წერილი, რომელიც ეხება „შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის“ მდ. ხედეთურზე დაბალზღურბლიანი კაშხლის ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 13 იანვრის №2-26 ბრძანებაზე თანდართული 2015 წლის 18 ივნისის №31 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირველი პირობის ცვლილების საკითხს.

გაცნობებთ, რომ 2015 წლის 18 ივნისის №31 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირველი პირობის თანახმად, საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია უზრუნველყოს საქმიანობის განხორციელება წარმოდგენილი გზშ-ის ანგარიშის, მონიტორინგის გეგმის, შემარბილებელი ღონისძიებებისა და ასევე გზშ-ის ანგარიშით წარმოდგენილი რეკომენდაციების შესაბამისად.

ასევე, გაცნობებთ, რომ გზშ-ის ანგარიშში ჰიდროტექნიკური ნაგებობების ექსპლუატაციის ეტაპზე შემარბილებელი ღონისძიებების თავში მითითებულია „იქთიოფაუნაზე ნეგატიური ზემოქმედების მინიმიზაციის მიზნით კაშხლების ზედა ბიეფებში **ყოველწლიურად 20000 ცალი მდინარის კალმახის ლიფსიტის გაშვება**“. ასევე, გზშ-ის ანგარიშის რეკომენდაციების ნაწილში მითითებულია, რომ იქთიოფაუნაზე მიყენებული ზარალის კომპენსაციის მიზნით მდ. ხედეთურაში და მდ. რიცეულაში **ყოველწლიურად გაშვებული იქნება 20000 ცალი მდინარის კალმახის ლიფსიტა.**

თქვენ მიერ მოთხოვნილი დათევზიანების ღონისძიების გადავადება და დათევზიანების ალტერნატიული მეთოდის დამატება წარმოადგენს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობის ცვლილებას.

ასევე გაცნობებთ, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, საქმიანობის განმახორციელებელი უფლებამოსილია სააგენტოს მიმართოს დასაბუთებული შუამდგომლობით გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობის შეცვლის მოთხოვნით, თუ დაასაბუთებს, რომ ამ პირობის შესრულება ვერ უზრუნველყოფს გარემოზე ზემოქმედების თავიდან აცილებას ან შემცირებას ან/და ამ პირობის სხვა პირობით შეცვლა აუცილებელი და ეფექტიანია გარემოზე ზემოქმედების თავიდან აცილების ან შემცირების თვალსაზრისით.

შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობის შეცვლის მოთხოვნით, აუცილებელია სააგენტოს მომართოთ **შესაბამისი დასაბუთებით** (მაგ. სამეცნიერო ნაშრომები/დასკვნები/კვლევები) ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-5 მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად.

დანართის ელ. ვერსია გაეგზავნოს სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო